

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 19 დეკემბრის №230-უ.ს.შ.ს. დადგენილების (გაზეთი „აჭარა“ №235, 2006 წლის 26 დეკემბერი) მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „2. უმაღლესი საბჭოს 2007 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 2 991,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- ა) შრომის ანაზღაურება 1 835,1 ათასი ლარი;
 - ბ) დამქირავებლიდან ანარიცხები 367,0 ათასი ლარი;
 - გ) მივლინებების 60,0 ათასი ლარი;
 - დ) სხვა საქონელი და მომსახურება 322,5 ათასი ლარი;
 - ე) სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები 353,5 ათასი ლარი;
 - ვ) კაპიტალური ხარჯები 53,3 ათასი ლარი.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ მახარაძე

ქ. ბათუმი
2007 წლის — ივნისი
№ უ.ს.გ.ს.